მდინარეთა ჰიდროლოგიური რეჟიმის შეფასება სპორტული ღონისძიებებისათვის

დემეტრე მოდებაძე

ელ-ფოსტა: demetre.modebadze@tsu.ge

გეოგრაფია, ზუსტ და საბუნებიმეტყველო
მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 3.

სამდინარო ტურიზმი მსოფლიოს მაშტაბით ბოლო პერიოდში მეტად პოპულარული ხდება. ამ რეკრეაციის მიმართულების განვითარებას ხელი შეუწყო ბოლო პერიოდში არსებულმა ძვრებმა ექსტრემალური სპორტით დაკავებული ახალგაზრდების არეალის ზრდისა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ექსტრემალთა გაერთიანებები, რომლებიც აქცენტს ცხოვრების ჯანსაღ წესზე აკეთებენ და სხვადასხვა მიმართულებით ცდილობენ მათთვის საინტერესო აქტივობების განხორციელებას.

მდირეთა ის ჯგუფი, რომლებიც ამ კონკრეტულ მიმართულებაში გამოსადეგია, მნიშვნელოვნად ყურადღების ცენტრში ხვდება. კანოე და კაიაკი არის ის საინტერესო მიმართულებები რომლებიც სპორტულ სამდინარო ექსტრემში საკმაოდ პოპულარულია. ციცაბოდ დახრილ ფერდობებში მოქცეული მდინარე, გაჭრილი ხევები და მდინარეთა სხვადასხვა სიჩქარის დინებები არის ის რაც დარგისათვის ერთობ მნიშვნელოვანია. საშეჯიბრო ზონაში გამართული რბოლები, მორევებითა და ტალღებით გამოწვეული სირთულეები რომლებიც შიშისმომგვრელიც კი არის რიგ მომენტებში საწინდარი ხდება ტურისტულად მიმზიდველი გახადოს ესათუის ობიექტი. კომერციული ჯომარდობა ეს არის კიდევ ერთი საინტერესო მიმართულება სათავგადასავლო ტურისტული ინდუსტრიის აღორძინებისათვის. გართობისა და დასვენების ეს სახეობა მეტად პოპულარული სამეგობრო წრისა და კომპანიებისათვის.